საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-808

10/09/2020

ქ. თბილისი

„შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის №2-812, „ქ. ბათუმში, შპს „სიგმატიქსის“ „სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის №2-1023 და „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის №2-812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-821 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 10 აგვისტოს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ და შპს „სიგმატიქსმა“ და ითხოვეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემისა და შპს „სიგმატიქსზე“ გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების გაუქმება.

სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2012 წლის 20 მარტს გაცემულია № 15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამავე საქმიანობაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მომართვის საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება № 2-777 (19.09.2018).

2018 წლის 5 ოქტომბერს კომპანიების ერთობლივი განცხადების საფუძველზე „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის № 2-812 ბრძანებით შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცა შპს „სიგმატიქსს“ ნავთობშლამების ინსინერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის ნაწილში.

2019 წელს შპს „სიგმატიქსმა“ მომართა სამინისტროს ნავთობშლამების ინსინერატორის ცვლილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ნაცვლად გზშ-ის ანგარიშით და 2012 წლის 20 მარტს გაცემული № 15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ინდოეთში წარმოებული 200 კგ/სთ წარმადობის IWV-300 მოდელის ინსინერატორისა, კომპანიამ შეიძინა ევროპული სტანდარტის და ტექნოლოგიურად უფრო სრულყოფილი, დანიური კომპანია ATLASS INSINERATORS-ის მიერ დამზადებული 200 კგ/სთ წარმადობის ATLASS-1200 მოდელის ინსინერატორი. შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 დეკემბრის №2-1023 ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება ქ. ბათუმში, შპს „სიგმატიქსის“ „სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე.

2019 წლის 25 ივლისს სამინისტროს განცხადებით მომართეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ და შპს „სიგმატიქსმა“. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა შპს „სიგმატიქსზე“ სარკოფაგის მოწყობის ნაწილში, ვინაიდან აღნიშნული სარკოფაგი უშუალოდ იყო დაკავშირებული ინსინერატორის ექსპლუატაციის პროცესთან. შესაბამისად, 2019 წლის 27 აგვისტოს „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის № 2-812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის № 2-821 ბრძანებით შპს „სიგმატიქსს“ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცა ნავთობშლამების ინსინერატორის და ნაცრისთვის (ფერფლისთვის) განკუთვნილი 1000 $მ^3$ მოცულობის რკინაბეტონის სარკოფაგის მოწყობისა და ექსპლუატაციის ნაწილში.

2020 წლის 10 აგვისტოს სამინისტროში წარმოდგენილი იქნა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალისა“ და შპს „სიგმატიქსის“ ერთობლივი წერილი, რომლის თანახმად, შპს „სიგმატიქსისგან“ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ შეისყიდა ნავთობშლამების ინსინერატორი და თავად გეგმავს აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას. როგორც წერილშია აღნიშნული, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ ექსპლუატაციას გაუწევს სახიფათო ნარჩენების გადამუშავების (ნავთობშლამების ინსინერაციის) საწარმოს, მათ შორის დანიური კომპანია ATLASS INSINERATORS-ის მიერ დამზადებული 200 კგ/სთ წარმადობის ATLASS-1200 მოდელის ინსინერატორს, ფარდულს ნაცრის დროებითი განთავსებისთვის, ნაცრის შესანახ რკინაბეტონის სარკოფაგს და სხვა ნაგებობებს. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ განმარტებით, აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იქნება ნავთობტერმინალის მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, რომლის განახლება და სამინისტროში წარმოდგენა იგეგმება კომპანიის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ერთობლივი განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის № 2-812 ბრძანება;

   ბ) „ქ. ბათუმში, შპს „სიგმატიქსის“ „სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის № 2-1023 ბრძანება;

   გ) „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 ოქტომბრის № 2-812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს № 2-821 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“ და შპს „სიგმატიქსს“;;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ და შპს „სიგმატიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი